ბაქარი. ქართველი სოც.-უფლებრივი სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია ადილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50ცს მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი სექტემბრის 13 1922 წ.

ქ. ქუთაისში 7 ამ თვეს გარდაიცვალა ყოფილი ინსპექტორი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა

ივანე დავითის ძე
გაფრინდაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი ქეთევან, შვილები ვარვარა, ვალერიან, დავით, ნინო და სიძე ალექსანდრე კანდელაკი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 24 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, დანიშნულია წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ქართულ წითელ ლაშქრის ცენტრალურ კლუბში (ყოფილ. ქართული კლუბი.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება მთავარ სამმართველოს მოქმედების შესახებ.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. 1922 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
4. წესდების ზოგიერთ მუხლის შესწორება.
5. მთავარ სამმართველოს დამატებითი წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

თუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი კრება მოხდება ერთი საათის შემდეგ, რომელიც თანახმად წესდების 73 პარაგრაფისა კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ახლო-აღმოსავლეთის ფრონტზე

ერთი მეტად ღნიშვნელოვანი და დიდი ღირებულების კვანძი საერთაშორისო პოლიტიკისა ყოველთვის ინასკვებოდა ახლო-აღმოსავლეთის გარშემო. ევროპის დიპლომატიამ ვერ შესძლო თავისი საკუთარი ოჯახის, ევროპის საქმეების მოწესრიგება და რუსეთ-გერმანიის საკითხის მოგვარება, რომ მთელი თავისი სიმძიმით მის წინაშე კვლავ წამოიჭრა ახლო-აღმოსავლეთის, უკეთ ოსმალეთის პრობლემა და ისედაც გართულებული ურთი-ერთობა უფრო დახლართა. ევროპამ თითქოს ორი დაამთავრა და მშვიდობიანი ცხოვრების გზების ძებნაში, მცირე აზიას რვა წლის განმავლობაში ასეთი რამ არ უნახავს და ის განუწყვეტელ სისხლის ღვრაში იმყოფება. მდგომარეობა იმდენად მომწიფდა ახლო აღმოსავლეთში და იმდენად ახალი საერთაშორისო მომენტები დაიბადა, რომ მისი ძველი გზით გაგრძელება შეუძლებელი შეიქმნა და მოკავშირენიც შეუდგნენ ძველი პოლიტიკის რევიზიას.

დღევანდელი გართულება ოსმალეთ-საბერძნეთის ფრონტზედ და იქ სამხედრო ოპერაციების გაფართოვება თურქების მხრით, არ არის გამოწვეული მარტო ადგილობრივი პირობების კარნახით. მოკავშირეთა შორის შექმნილმა მდგომარეობამ და ინტერესთა დაპირისპირებამ ახლო აღმოსავლეთის საკითხშიაც იჩინა თავი და ერთი-მეორეს საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებას შეუდგნენ ინგლის-საფრანგეთი.

მთელს რიგს საერთაშორისო კითხვებში ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესები რადიკალურად დაუპირისპირდა ერთი მეორეს და მათ შორის თითქმის შეუძლებელი ხდება შემარიგებელი ხაზის გამონახვა. ამ მხრივ ახლო აღმოსავლეთის დღევანდელი ვითარება ნათელს ფენს ამ განსწყობილებას მოკავშირეთა შორის.

მაშინ, როდესაც საფრანგეთმა საერთო ენა დახვდა ანგორის მთავრობასთან და სევრის ხელშეკრულების გადასინჯვას შეუდგა, ინგლისი კვლავ განაგრძნობდა სევრის ნიადაგზედ დგომასა და საბერძნეთის ძალების საშუალებით ანგორის შევიწროებას. ოსმალეთის საკითხს ინგლისისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც აზიის ქვეყნების დიდი მფლობელისათვის. ინგლისის უმთავრესი და უდიდესი მიზანი არის მაგარი პოლიტიკური და სტრატეგიული სალტეებით შეკრას თავისი აზიის კოლონიები და უზრუნველყოს ისინი ყოველგვარ საფრთხისაგან, რომ შემდეგში შეუჩერებელი ეკონომიური ექსპლოატაცია მოახდინოს მათი თავისი ნაციონალური კაპიტალის გასაძლიერებლად. ამ პოლიტიკური პროგრამის მთავარ გეგმას შეადგენდა ეგვიპტის ინდოეთთან შეერთება მცირე აზიის, მესოპოტამიის, პალესტინისა და სპარსეთის გზებით. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური გეგმა რომელიც მდიდარს ტერიტორიალურს ერთეულებს ერთს მთლიანს განუყოფელს რკალში მოამწყვდევდა ტ ამ სახით უმორჩილებდა ინგლისის ბატონობას. მაგრამ ამ პროგრამის განხორციელებას ხელს უშლიდა ოსმალეთის ინტერესები, რომელიც ვერ შეურიგდა ინგლისის პოლიტიკას და იარაღით ხელში მოინდომა თავისი დამოუკიდებლობის დაცვა. ოსმალეთის განადგურება და მისი წვრილ სახელმწიფოებად დაბლა,—ეი მორიგი პოლიტიკური ამოცანა, რომლის განხორციელება მოინდომა ინგლისმა სევრის ხელშეკრულებითა და ბერძნების ჯარებით. ანატოლიის მთავრობა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძვის ოთხ წელზედ მეტია და თავისი მიზნების განხორციელება ინგლისისათვის შეუძლებელი შეიქმნა.

მასთანავე მოკავშირეთა ბანაკში ინტერესთა წინააღმდეგობა აღმოჩნდა და საფრანგეთმა ანგორას ხელი გაუწოდა შესაერიგებლად. საფრანგეთის ინტერესებისათვის მიუღებელი შეიქმნა ინგლისის საგარეო პოლიტიკა, რომელიც ასეთს წარმატებას გაუმზადებდა ბრიტანეთის სახელმწიფოს და მანც თავისი შესაფერისი პოლიტიკა წამოაყენა, რომელსაც ოსმალეთთან მორიგების სურვილი უდევს საარჩულად.

დღევანდელი ირძოლა ახალ აღმოსავლეთის ფრონტებზედ, ეს მასთანავე არის ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის. საბერძნეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში გამოსჩენს აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის ინტერესების დაპირისპირებაც. ინგლისს სურდა საბერძნეთის ხიშტებით თავისი პოლიტიკა გეტარებინა და უკანასკნელს კონსტანტინეპოლის დაპყრობისაკენაც მოუწოდებდა. მაგრამ ძდგომარეობა იმდენად შეიცვალა და ქემალის ჯარებმა იმდენად შეავიწროვეს ბერძნები, რომ ის იძულებული ხდება მცირე აზიის სრულ ევაკუაციაზედ იზრუნოს. სულ მცირე ხნის განმავლობაში ანატოლიის სარდლობამ დიდ გამარჯვებებს მიაღწია საომარ ფრონტებზედ და ზედი-ზედ საბერძნეთი კარგავს მცირე აზიაში საუკეთესო სიმაგრეებსა და ქალაქებს. ბრუსისა და სმირნის დაკარგვა და ნუ ერი ბეის რაზმების ეგეიის ზღვამდე მიღწევა ფაქტიურად უდრის საბერძნეთის ჯარების განადგურებას და, როგორც ბორდოდან მოსული ცნობით ირკვევა, ბერძნები მზად არიან მოახდინონ მცირე აზიის ევაკუაცია იმ პირობით, თუ დაუყოვნებლივ იქნება ჩამოგდებული დროებითი ზავი:

მაგრამ საბერძნეთის დამარცხება ეს არის ფაქტიურად ინგლისის პოლიტიკის დამარცხება. ოსმალეთის ბერძნებზედ გამარჯვება ემუქრება კონსტანტინეპოლიდან და მესოპოტამიიდან ინგლისელების განდევნას. ამ გარემოებამ ძლიერ შეაშფოთა ინგლისის მთავრობა და თავის არაჩვეულებრივის სხდომაზედ დადგინა განაგრძოს თავისი დღევანდელი პოლიტიკა ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის მიმართ და დადგეს სევრის ხელშეკრულებაზედ, აგრეთვე დაიცვას კონსტანტინოპოლი და სრუტეები და გაძლიეროს გარნიზონი მესოპოტამიაში. ინგლისის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება ახლო აღმოსავლეთის საქმეებისათვის.

მართალია, დღეს ანგორას დიდი გამარჯვება ხვდა წილად საბერძნეთის დამარცხებით, მაგრამ უკანასკნელის გარემოება თავის თავად არ სწყვეტს საკითხსა და შეიძლება ჩვენ აქ უფრო ფართო მოქმედების წინაშე დავდგეთ. აზიის დიდი მპყრობელი, ინგლისი ასე ადვილად ვერ აიღებს ხელს თავის ინტერესებზე და ვერ მოხსნის თავის იმპერიალისტურს პოლიტიკას.

როგორც საფრანგეთის ცნობებიდან ირკვევა, ოსმალეთში წინასწარი ზავის ჩამოგდებისას მოითხოვენ მცირე აზიის, ფრაკიისა და კონსტანტინოპოლის ევაკუაციას და ზარალის ანაზღაურებას. მაგრამ ოსმალეთის პოლიტიკა ამაზედ არ შეჩერდება და თავისი ტერიტორიის გამოგვალებას მოინდომებს. ყოველივე ეს კი უდრის ინგლისის სრულს დამარცხებასა და ახლო აღმოსავლეთიდან მის განდევნას. რასაკვირველია ამას ვერ დასთანხმდება გამოკვებული ინგლისი და შესაძლებელია ოსმალეთ-საბერძნეთის ომმა დიდი საერთაშორისო კონფლიქტის წინაშე დაგვაყენოს.

დღეს ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზედ დიდი მნიშვნელობის ამბები ხდება; აქ ფაქტთა და მოვლენათა გაღრმავებას აქვს ადგილი. ყოველივე ეს პროცესში იმყოფება და მოვლენები ელვის სწრაფით სცვლიან ერთი-მეორეს, ამიტომ ძნელი არის რაიმეს გადაჭრით თქმა. ერთი კი შეიძლება ითქვას: ახლო აღმოსავლეთი გადამჭრელ მომენტების წინაშე სდგას და მით ამა თუ იმ სახით გამოსავალი უნდა ნახოს: ან ევროპიის საშველებით, დროებით მაინც მშვიდობიანობის აღდგენა, ან უფრო გაღრმავება და საერთაშორისო კონფლიქტად გადაქცევა.

ხ. დევიანი.

ნარკვევი

შეერთებული შტატები.

შეერთებული შტატების ტერიტორია წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ტერიტორიის მხოლოდ 7-პროცენტს, მათი მცხოვრებლები კი 6-პროც. მთელი ქვეყნის მცხოვრებლებისას. მიუხედავად ამისა შეერთებული შტატები აწარმოებენ (ცნობები 1921 წლისაა) მთელი მსოფლიოს წარმოების:

20 პროც.—ოქროს, 25-პროც.—ხორბალს, 40-პროც. რკინისა და ფოლადს, 40-პროც.—ყაყაჩულობას, 40 პროც.—ვერცხლს, 50 პროც.—თუთია (цинк) 52-პროც.—ქვანახშირი, 60 პროც.—მინახასა (аллюминия), 60-პროც.—სპილენძს, 60-პროც.—ბამბას, 66 პროც.—ნავთს, 75 პროც.—ქერს, 85—90 პროც. ავტომობილებს.

1900 წელში შეერთებულ შტატებში იყო სულ 13,524 ავტომობილი და ყოველ წლიურად კეთდებოდა დაახლოვებით 5.000 დე. 1910 წელში რიცხვი ავტომობილებისა გაიზარდა 444.349-მდე, ყოველ წლიური წარმოება კი 178,557-დე. 1920 წელში საერთო რიცხვი ავტომობილებისა ავიდა 9.118.000-დე, ყოველ წლიური წარმოება კი 2.200 000-დე. ღღეს დღეობით რიცხვი ავტომობილებისა შეერთებულ შტატებში შეფასებულია 10 მილიონზე მეტი. იქ მომქმედ ავტომობილების ქარხნებს შეუძლიათ ყოველ წლიურად გააკეთონ 2-ნახ. მილიონი ავტომობილი. ეს ამდენად განვითარებული ინდუსტრია შექმნილია ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში.

შტატებში თანდათან სჩანს ტენდენცია გამოცოცხლებისაკენ, მაგრამ არა ყველა წარმოების დარგებში. დიდათ დაგრეგილია ფული, რომელიც იწვევს კაპიტალის ინტენსიურს მოთავსებას. განსაკუთრებით ეს სჩანს რკინისა და ფოლადის, საადმშენებლო და სხვა წარმოებებში, წარმოებამ ამ დარგებში მიაღწია დაახლოვებით ომის წინა დროს დონემდე. მაგრამ, ძლიერ შეფერხებულია კონიუნქტურა ფაბრიკანტებისა, რომელნიც დანიშნულია მიმდინარე მოთხოვნილებებისათვის: საფეიქრო, ფეხსაცმელების, საკონფექტო წარმოებებში და სხვა. მემადნეობის გაფიცვამ ძლიერ შეუშალა ხელი წარმოების გაფართოებას.

ევროპის აღდგენის საკითხში თანდათან მხილდება ანტაგონიზმი შეერთებულ შტატების ბანკირიებსა და მრეწველებს შორის. რაც შეეხება რუსეთის აღდგენას. აქ ამერიკელ ფერმერებს ეშინიათ რუსეთის კონფერენციისა პარის საერთაშორისო ბაზარზედ; მაგრამ ისინი მოითხოვენ გერმანიის აღდგენას, რომელიც დიდი მომხმარებელია ამერიკის ბამბისა, ხორბლის, საკვები მასალებისა და სხვა. მხოლოდ ამ აღდგენაში ხედავენ შესაძლებლობას თავიდან აიცილონ შარშანდელი აგრარული კრიზისი, „ფერმერები“,—სწერდა ამერიკის ცნობილი ფინანსისტი კანი „ტაიმსში“,—ყოველთვის ითვლებოდნენ დამცველებად ამერიკის ა. წ. პროვინციალიზმისა ე. ი. ევროპის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ, ფერმერების ბიუროს მოქმედების შედეგებმა ყველაზე უწინ დაარწმუნა ისინი, რომ ისინი დაინტერესებულია სავაჭრო ურთიერთობაში ევროპასთან, უფრო მეტად ვინემ შეერთებულ შტატების მრეწველები. ვინაიდგან ეს უკანასკნელთ ცუდ შემთხვევაშიაც შეუძლიათ თავიანთი წარმოების ზედმეტი პროდუქტები გაიტანონ სამხრეთ ამერიკაში, აზიაში და ავსტრალიაში მაშინ, როდესაც ფერმერებისათვის ეს ახლად გახსნილი ქვეყნები კაპიტალიზმისათვის წარმოადგენენ არა გასასაღებელ ბაზრებს, არამედ კონკურენციებს“.

ამერიკის ფერმერების ამ პოზიციას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი საჭირბოროტო კითხვაში გერმანიის განთავისუფლების საქმეში საფრანგეთის ძალდატანებისა და განადგურებისაგან ამერიკის ჩარევის შესახებ. მაგრამ რადგან გერმანიის აღდგენა მჭიდროდ დაკავშირებულია რუსეთის აღდგენასთან, ამიტომ ამერიკის ფერმერები იძულებულნი იქნებიან გამოვიდნენ უკანასკნელის დასაცავადაც. პრაქტიკულად მათ არ აქვთ სხვა ბაზარი გასაღებისათვის, გარდა შუა ევროპისა. („იზვესტია“ № 188.)

თურქული პრესა

ანგორის დიდი ერეკვნული საბჭოს ორგანო გაზეთ „ხალქიმეთი მილლიე“-ში პრინც დონ ლუი დიბორბორთან საუბარი არის მოთავსებული. მოგვყავს შემოკლებით:

ეს რამდენიმე დღე არის ანგორაში იმყოფება პრინცი დონ ლუი—დღევანდელი ისპანიის კაროლის ძმა. პრინც ლუიმ ამერიკაში ცხოვრება ამჯობინა და მისი ქვეშევრდომობაც მიიღო.

პრინცი პოლიტიკოსი არაა. მხოლოდ საქმის კაცია. თუ რამდენად საქმის მცოდნეა პრინცი, ამას მკითხველები ქვემო ნაწერებში დაინახავენ. ჩვენი გაზეთის თანამშრომლის მიერ მიცემულ შეკითხვაზე, პრინცმა სიპასუხოთ სთქვა შემდეგი. თუ რისთვის მოვედით აქ, გვიამბობთ:

„ამერიკელები თქვენ კარგად ვერ გიცნობენ, ეს ორივე მხარის ბრალია. მერე კიდევ თქვენს წინააღმდეგ დიდს პროპაგანდას ეწევიან. თუმცა ახლა თქვენი დაფასება დაიწყო, მაგრამ ეს დაფასებაც კი ჭეშმარიტად ერთი მეორის გაცნობის გაწო არ ხდება. ეხლა თქვენ ორ ბრძოლას აწარმოებთ, ერთს ფრონტზე და მეორეს კი საეკონომიო სპარეზზე. მე მოვედი იმისთვის, რომ ეკონომიურ ბრძოლაში დაგეხმაროთ თქვენ. ამერიკას ამ ბოლო დროს თურქებთან შემაერთებელი ხიდის გადება აქვს გადაწყვეტილი. ამერიკის დიდი დახმარების გარდა, თქვენთვის ეკონომიურად დამხმარე არც ერთი ძალა არ მოიპოვება. თურქებსა და ამერიკელებ შორის დამყარებული განწყობილებას მთელი ქვეყნიერების შემათანხმებელი უნდა შეიქმნეს.

ოსმალეთი ამერიკასავით არის ბუნებით მდიდარი და ზედმეტი ღირსება ხალხისა კი, არის მტკიცე განზრახვის თვისება და ურყევი სულიერი ძალა. ნეტავი რა არის ის, რომ არ მოიპოვებოდეს თქვენში? ოქრო, ნავთი, და ნახშირი და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე, რომლითაც შეიძლება მთელი ევროპა იკვებებოდეს. ხართ დიდი მიწა-წყლის პატრონი. და საცაა, თქვენს დამოუკიდებლობასაც მალე მიაღწევთ. ამერიკას შეუძლია თქვენ მხოლოდ ეკონომიურად დახმარება გაგიწიოსთ. და ამისათვის კი საჭიროა ამ რა ერთა შორის კეთილი განწყობილება დამყარდეს. ამერიკის მიერ მე აქ პოლიტიკური და ეკონომიური მატონობის უზრუნველყოფისათვის არ გამოუგზავნივარ. ოსმალეთს მხოლოდ ეკონომიური მოთხოვნილების შესახებ უნდა ველაპარაკო. ოსმალეთს კულტურის მოთხოვნილების გზა სჭირდება? არა! ოსმალეთის კულტურა ჩვენსას ადემატება.

წარსულში მეგობრები გვყავდაო გეგონათ: მაგრამ ესენი ჯერ პირში გიცინოდენ და შემდეგ სხვებს მიუბრუნდებოდნენ და ბარბაროსები არიანო ეუბნებოდენ. ქვეყნიერობაზე არ მოიპოვება ისეთი სახელმწიფო, რომ თურქებსავით სულისადმი პატივი დაედვათ რამდენსამე კვირას თქვენ შორის ვინმე რომ დარჩეს და შემდეგ თქვენ წინააღმდეგ რაიმე სთქვას, შეუძლებელია. ეს წინააღმდეგობა ევროპიანეთის გაუცნობლობის გაწო არის გამოწვეული. ჩვენ თქვენი მადალის ტანით, „ათალან“-ით*) შესხმულ საშიშარ ადამიანებად გვყავდით წარმოდგენილი. და რომ მთელ მსოფლიოს თქვენი თავი ასეთი ლამაზი, ნაზი ალბრდილი, კარგად ჩაცმული და კარგი ცხოვრების მცოდნე სცოდნოდათ დამერწმუნენ, რომ თქვენი ქვეყანა მთელი მსოფლიოს ქალების მიერ იქმნებოდა დაპყრობილი და დასახლებული! ეხლა რა უნდა გააკეთოს ამერიკამ, ის უნდა ვსთქვა: ამერიკისა და ოსმალეთს შორის კეთილ განწყობილების დამყარება უმთავრესი სურვილი არის ჩვენი. ოსმალეთი ისევე თურქებმა უნდა ადადგინონ. ჩვენი ნატვრა—ჯანმრთელი ოსმალეთის შექმნა. თქვენს ქვეყანაში იმდენი რომაელები არიან, რომ ერთი ხალიჩის ყიდვა რომ დაჭირდეს, წინ სომეხი შეგეხვეჩება, მატყლის ყიდვის დროს ბერძენი და სხვა რაიმეს შეძენის დროს კი ინგლისელ წარგიდგება. ნეტავი თურქებთან, ოსმალეთთან პირდაპირი ადებმიცემობის გამართვა შესაძლებელია არის თუ არა მაგალითად ოქროს მადნეულობის შესახებ უნდა მიმართოთ ბელგიას მიტომ რომ კონცესია მას აქვს ადებული. მერე რისთვის ოსმალეთის ხაცვლად უნდა მიმართოდ ბელგიას? ეხლა ჩვენ ოსმალეთში თურქის მთლიანობის დაცვას უნდა შეუდგეთ. საქმის ეს მთლიანობა ცხრა კაცის მიერ იქნება განმგებული. ამ ცხრიდან ერთი პრესის, მეორე სასამართლოს, მესამე საფინანსოს, მეოთხე მთავრობის, და სხვანიც თქვენი ნდობით აღჭურვილი ვაჭრებსა და სხვა პირებისაგან უნდა შესდგეს და ამ ცხრა პირმა ამერიკის მთავრობის მიერ შედგენილი გეგმი

*) იათალანი: ხმალის მსგავსი გრძელი დანა არის, რასაც თურქები ერთ დროს ხმარობდნენ. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იმოქმედონ. ამ გეგმის მთავარი სული შემდეგია: საქმე საქმისათვისაა, პოლიტიკა ამათ გარეშეა და ამ ცხრა პირმა სხვა თურქის წევრები უნდა აირჩიოს.

გეგმა მკაფიოდ მარტივია: მთავრობით კი არა, პირებით საქმის გაკეთებაა მიტომ, რომ მიწის პატრონი, მესაკუთრე, თავის ქონება-მამულს ვერ დასტოვებს და ვერსად ვერ წავა. მაშასადამე მათთან საქმის დაჭერას უფრო ვამჯობინებთ. ჩვენთვის ძირითადი ფუძე არის თავისუფლება და შემდეგ კი ადგებმიცემობა, ვაჭრობა. თუმცა ჩვენ მთელი ქვეყნის სიავენი მოგაყენეთ, მაგრამ ეს სიავე მარტო თქვენ წინააღმდეგ არაა ჩადენილი, მან ჩვენამდინაც მიაღწია. ეხლა ჩვენ წინაშე ვხედავს იმედს. სიავენი უნდა იქნეს გამოსწორებული და ან სულ სიბნელეში უნდა მოვიქცეთ. თქვენ ჩვენ მთელ სოფლიოს უნდა გაგაცნოთ, და ეს მეტად ადვილი არის: სინემას საშუალებით, რა იყავით, რა შეიძენით, რას აკეთებთ, გასაყიდი რა გაქვსთ, ყველა ლენტზე უნდა მოვაქციოთ.

ამერიკის სინემას ერთობას თავმჯდომარე და ყოფილი მინისტერი (ოვილ, ხ, ჰეისი) სალამსა და მის პატივისცემას გიძღვნით. მას აქ თქვენში რაიმე დაწესებულების დაარსების სურვილი აქვს. ამერიკაში ყოველ დამე ოცი მილიონი კაცი სინემაში თავს იქცევს. და ეს ბატონი ამბობს, რომ: „ჩვენი მთელი ქვეყნიერების წინაშე გამაცნობელი ძლიერი საშუალება არის ფილმეები-ო. თქვენს ისტორიაში ისეთი მოვლენანი და ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები არის, რომ ისინი ქვეყნიერებამ არ იცის. თქვენი ნაწერის კითხვა ძნელია. ამერიკა დახმარებისათვის მზად არის. მაგრამ იმ მდგომარეობაში არ იმყოფება, რომ მან ეს წინადადება თქვენ მოგცეს. წინადადებას ის თქვენგან ელის, აქ მოსული მისიონერი ვერასოდეს ამერიკის წარმომადგენლები ვერ შეიქნებიან.

და რაც შემეხება მე, თუ ოსმალეთს ეს სურს—როცა ამ დროს ნამდვილი მეგობარი ესაჭიროება—სავსებით მზათა ვარ. და თუ ეს თქვენი მთავრობის პოლიტიკას და კანონებს არ ეწინააღმდეგება, თქვენს ბრძანებაში ვიქმნები. მე აქ სავაჭრო და ეკონომიურ ბრძოლაში დახმარებისათვის მოვსულვარ. იქვე არა მაქვს, თქვენის დახმარებით გავიმარჯვებთ და Theworld Clearance Association of Am. ვარ წარმომადგენელი. ამავე დროს მარშალი სინდიკატისაც წარმომადგენელი ვიმყოფებით და სხვა".

ენის საკითხი

ენის საკითხი ყველასათვის და ყოველთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო, არის და იქნება, რადგან იგი მთელი ერის კოლექტიურს შემოქმედების ჯამია და შეიძლება ყველაზედ უფრო სიცხადითა და სისრულით სწორედ მასში სჩანდეს მთელი ერის, ხალხის განსაკუთრებული თვისებები და მისი სულიერი რაობა,—კულტურის დირებულება... თუ გსურთ გაიცნოთ რომელიმე ერის ნახული საფუძვლიანათ და აქედან განსკვრიტოთ მისი მომავალი, უსათუოდ უნდა შეისწავლოთ და შეითვისოთ მისი ენა, რომელზედაც მას შეუქნია დროთა განმავლობაში ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, რომელ ენასაც ის ბარობდა ოჯახში, საზოგადოებაში, გაპირვებასა თუ სიხარულში და სწორედ ამ ენაში დაინახავთ თქვენ ამ ეროვნების სახეობას, გიგებთ თუ რამდენად ძლიერია მასში შემოქმედებითი ენერგია, თვალწინ გადაგეშლებათ მისი ისტორიის სურათები და ადვილათ გამოარკვევთ, თუ ვის გავლენის ქვეშ მოყვა ესა თუ ის ერი და რამდენად ძლიერი იყო იგი...

ერთი სიტყვით, მშობლიური ენა—ეს მთელი სამშობლოს ისტორიაა, მასში ნათლად გამოსჩანს მთელი განვლილი გზა და მისი ინდივიდუალური თვისებები და სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ყოველი კულტურული ერი თავგამოდებით იცავს თავის ენას. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თუ ერს როგორმე მოუსპე თავისი ენა, ასეთი ერის სიცოცხლის დღეები დათვლილია... მოსპე ენა და ერიც გაქრებიო, სწორედ ამით ხელმძღვანელობდა იმპერიალისტური რუსეთი, როდესაც სწყრდა ჩვენს შესახებ თავის მოხელეებს: „Сделайте так, что-бы тело было ихнее, а душа русская". ისინი თავიანთ მიზნის მისაღწევათ, (ე. ი. ჩვენს მოსასპობათ) სწორეთ ენას სდევნიდნენ, რადგან მხოლოდ ამით შეეძლოთ მიზნის მიღწევა, ჩვენი სულის დამახინჯება, გადაგვარება... არსებობისათვის ბრძოლის თეორია ისეთი სიმარტივით არსად არა სჩანს, როგორც ენათმეცნიერებაშია, ამბობს ცნობილი გერმანელი მეცნიერი შლეიხერი ერთ-ერთ თავის თხზულებაში, და ნუ თუ ეს სრული სიმართლე, აქსიომა არაა?—აბა გადახედეთ ჩვენში ქართული ენის მდგომარეობას, როგორაა ის „დამოუკიდებელ" საქართველოში გადაკეთილი? როგორაა ქართული ენის საკითხი საქართველოში?.. ჩვენდა საუბედურო სრულებით უარყოფითად არის იგი გადაკეთილი... საქართველოში ქართული ენა არ სდგას თავის სიმაღლეზე. ერთის სიტყვით, ყოველ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებიდან გაძევებულია და საქართველოს დედა ქალაქებში გასავალი არა აქვს იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობს, აზროვნობს მოქმედებს და იღწვის ქართველი მშრომელი მასსა, მუშა და გლეხი...

ამ გარემოებას სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენი ერის ყოველმა გულშემატკივარმა—თორემ ასეთ მდგომარეობის გაგრძელება დიდ საფრთხეში ჩაგვაგდებს... შედეგი უკვე სჩანს. შეხედეთ ტფილისს, საქართველოს გულს... მან ურიცხვ ურდოების თავდასხმას გაუძლო, განიცადა 34 ვერ. საშინელი ალყრება და განადგურება, ახსოვს აზიის უსასტიკეს ტირანების, ლანგთემურისა და შაჰაბასის რისხვა, მაგრამ, ყველაფერ ამას გაუძლო... მან შეინარჩუნა დედამიწეთ თავისი სახე, მაგრამ დღეს მას საშინელი ფერისცვალება ეტყობა... ის არსებულ მდგომარეობის გამო, მისთვის, რომ იქ სრულებით გაბატონებულია უცხო ენა, საშინელ კატასტროფის წინაშე სდგას და ტფილისის ასეთი მდგომარეობა მთელ საქართველოსათვის მეტის-მეტად დამფიქრებელია.. ჩვენი სატახტო ქალაქი არა ჰკავს ქართულ ქალაქს... შეიძლება ინტელიგენცია იმდენად კიდევ არ განიცდიდეს ქართული ენის საჭიროებას, როგორც ქართველი მუშა და გლეხი, რადგან ამ უკანასკნელთათვის სრულებით გაუგებარია დღეს ჩვენში გაბატონებული ენა. ნუ თუ ეს ვისმესთვის გაუგებარია?

ჩვენი ენის ასეთ მდგომარეობაში დატოვებამ ჩვენ განადგურებას, ჩვენი მთელი საუკუნოებრივი შრომით გაბმულ კულტურის განიავებას მოასწავებს...

ქართველი მშრომელი ხალხი, მუშა და გლეხი თავის დღეში ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ მისი ენა არ იყოს პატივისცემული... ჩვენ რევოლიუციისგან ეკონომიურ ექსპლოატაციისგან განთავისუფლებასთან ერთად ეროვნულ თავისუფლებასაც მოვითხოვთ.

ქართველ მუშებსა და გლეხებს აქვთ უფლება მოითხოვონ თავიანთ ენის მეტი პატივისცემა ყველასაგან.

გრ. შავგულიძე.

ოსმალეთ საბერძნეთის ომი

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი.

ანგორა. სექ. 5, ოსმალეთის ჯარების მარჯვენა ფრთის შეტევითი მოძრაობა წარმატებით გრძელდება. ბაზარეიკეი—გემლიკის ალმოსავლეთით უკანვე იქნა დაბრუნებული სასტიკი ბრძოლის შემდეგ მარცხენა ფრთაზე ჩვენ დავიბრუნეთ ალაშეხირი და ხელთ ვიგდეთ დიდძალი ნადავლი და წამოვიყვანეთ ტყვეები. ბერძნებმა გადასწვეს ალაშეხირი და სოფლები, რომელნიც მდებარეობენ ალაშეხირის მიდამოებში, აგრეთვე გადაგდეს მცხოვრებნი, რომელთაც ვერ მოასწრეს გახიზვნა თოფებში. მცხოვრებნი ზოგი ცოცხლად დასწვეს ზოგიც ამოეჟეტეს.

ფრონტზე.

ბორდო. 11 სექტ. საბერძნეთის სამხრეთის არმია წაყვანილია ტყვეთ. ოსმალეთის ჩრდილოეთის არმიამ მიადწია მარმარილოს ზღვას. ბერძნებმა დაჰკარგეს 60.000 კაცი, აქედან 15.000 წაყვანილია ტყვეთ. შაბათს, დილით ოსმალეთის მეორე ცხენოსანმა დივიზიამ ზეკი-ბეის სარდლობით დაიკავა სმირნა. სმირნის ალება მოხდა სრულიად მშვიდობიანათ და ოსმალეთის ჯარების მხრივ არავითარ უწესობას ადგილი არ ქონია. სმირნიდან დაბრუნების შემდეგ ტნეოტოკისმა განაცხადა, რომ ქალაქის ევაკუაცია დამთავრდა.

გამოძახილი.

ბორდო 11 სექტემბერი. ათინა ალყასილია დაპრილებით და ლტოლვილებით.

ბორდო 11 სექტ. ქრისტიანების გამარჯვებით ლონდონში დიდი მღელვარებაა მესოპოტამიის, გამო სადაც ზოგიერთ ადგილებში უკვე იფეთქა აჯანყებამ.

პანოვერი 11 სექტ. ბასრიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მდგომარეობა მესოპოტამიაში გართულდა. ინგლისის ჯარებმა დაიხიეს ერმუ-კირკუ-კიფიეს ხაზზე. ინგლისის ჯარების რიცხვი არ არის საკმაო აჯანყების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბერძნეთში.

ნაუენი 11 სექტ. სმირნიდან დიდძალი ლტოლვილების ჩამოსვლის გამო, საბერძნეთში პროდუქტების ფასებმა ძალიან აიწია, რამაც ბევრ ქალაქში დიდი არეულობა გამოიწვია.

ბორდო 11 სექტ. ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის ჯარების პირველი ტრანსპორტი უკვე ჩავიდა პირეიში. ტრანსპორტი უნდა გაგზავნილიყო არქიპელაგიის კუნძულზე, მაგრამ ჯარის-კაცებმა აიძულეს გადმოვსხათ ისინი კირკიშში. გადმოსხმის შემდეგ ჯარის-კაცები შევიდენ ათინაში და ქალაქის ქუჩებში გამართეს მეფის საწინააღმდეგო მანიფესტაცია.

ბორდო. 11 სექ. კონსტანტინეს მიმდევრები კაბინეთის შესადგენად ასახელებენ მეტაკრატისს, რასაც პარტიები სთვლიან საუნდრო დიქტატურის დასაწყისად. ამის გამო პარლამენტოპულოსმა უარი განაცხადა კაბინეთის შედგენაზე. მეფემ გამოიწვია კონსტანტინოპოლიდან ყოფილი უმაღლესი კომისარი ტრიანდოფილაკისი.

ბორდო. 11 სექ. კაბინეთის შედგენა მიენდო ტრიანდოფილაკოს პირეიში ჩამოსულ საბერძნეთის 9000 სალდათს იარაღი ჩაუყრეს.

ანტანტის პოზიცია

ბორდო 11 სექ. კრეისერები „მეცი" და „სტრასბურგი" მზად არიან ტულონიდან ახლო-აღმოსავლეთში გასამგზავრებლად.

პანოვერი 11 სექ. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გაერთიანებული ხმელთაშუა ზღვის ფლოტი თავს ყოფს დარდანელთან.

პანოვერი 11 სექტემბერი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამერიკას არავითარ შემთხვევაში არ აქვს განზრახვა ჩაერიოს საბერძნეთის საქმეებში.

საკითხი დროებითი ზავის შესახებ.

ბორდო 11 სექტ. ლონდონის საპარლამენტო წრეებში ფიქრობენ, რომ საბერძნეთის ჯარების გენერალისიმუსის ოსმალეთის არმიის უმაღლეს სარდლობასთან უშუალო მოლაპარაკება არის ერთად ერთი გზა, რომლითაც შეიძლება დროებითი ზავის ჩამოგდება. ფიქრობენ, რომ ოსმალები მცირე აზიის, ფრაკიის და კონსტანტინეპოლის ევაკუაციის გარდა, მოითხოვენ კიდევ ზარალის ანაზღაურებას.

კონფერენცია ვენეციაში.

პანოვერი. სექტემბრის 11-ს მიღებულ ცნობების თანახმად ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია გაიმართება ვენეციაში სექტემბრის 20-ს.

დროებითი ზავისათვის

მოსკოვი 12 სექ. კონსტანტინოპოლში ფიქრობენ, რომ ანგორა მოითხოვს საბერძნეთის ჯარების მთავარსარდლის უშუალო მიმართვას ოსმალეთის მთავარ სარდლისადმი დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ, ოსმალეთის არმიის მთავარ სარდალი მოითხოვს მცირე აზიის ევაკუაციას და კონსტანტინოპოლიდან ბერძნების ყველა სამხედრო პირების გადასახლებას.

— ანგორიდან იტყობინებიან, რომ ქემალ-ფაშას ჯერ-ჯერობით არ სურს ბერძნებთან დროებითი ზავის ჩამოგდება.

მოსკოვი. 12 სექ. ოსმალეთის პრესის ცნობით ქემალისტებმა დროებითი ზავის პირობად წამოაყენეს მთელი საბერძნეთის არმიის კაპიტულაცია და ანატოლიის განადგურებულ ადგილების ალდგენა.

— მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კონსტანტინოპოლში მიმართეს ანგორის მთავრობას წინადადებით დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. შექმნილ მდგომარეობის გამო ამ ნაბიჯს წარმატების არავითარი შანსები არ აქვს.

ათინაში

მოსკოვი 12 სექ. ათინაში დაიწყო მოძრაობა, რომელიც მიმართულია მეფის ჩამოგდებისაკენ და რესპუბლიკანურ წესწყობილების დამყარებისაკენ.

საბერძნეთის კაბინეტის გადადგომა.

მოსკოვი 12 სექტ. საბერძნეთის კაბინეტი გადადგა.

ამერიკა და ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი.

მოსკოვი 12 სექტ. ამერიკის მთავრობას არ აქვს განზრახვა ჩაერიოს ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტში.

ს მ ი რ ნ ა შ ი.

მოსკოვი 12 სექტ. საბერძნეთის უმაღლესი კომისარი სმირნაში იუწყება, რომ ქალაქში თავი მოიყარა 20000 ლტოლვილმა. დიდი ნაკლულოვანებაა სასურსათო პროდუქტებისა.

— საბერძნეთის ჯარებმა უარი განაცხადეს სმირნის დაცვაზე და შეუდგენ ქალაქის ევაკუაციას.

— სურსათის ნაკლულოვანების გამო, სმირნაში არეულობა დაიწყო. საბერძნეთის უმაღლესი კომისარი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო საბერძნეთისს სამხედრო ნავით. ყველა ბანკები დახურულია, ოსმალეთის ჯარებმა წინადადება მისცეს საბერძნეთს სისხლის დვრის თავიდან ასაშორებლად ჩაბარონ სმირნა. ოსმალეთი იძლევა სრულ გარანტიას, რომ საბერძნეთის მცხოვრებთ სმირნაში არავითარი საფრთხე არ მოელით.

შაბათს დილით ოსმალეთის მეორე ცხენოსანმა დივიზიამ დაიკავა სმირნა. ქალაქის დაკავება სრულიად მშვიდობიანად მოხდა. ოსმალეთის ჯარები წესიერად იქცეოდენ.

ინგლისი

მოსკოვი. 14 სექტ. ინგლისის-პრესაში დიდ [illegible] [illegible] [illegible]ების მესოპოტამიაზე თავდასხმის გამო. ოსმალეთის ჯარების რაზმები ქურთების დახმარებით შეიჭრენ მესოპოტამიის ჩრდილოეთ ნაწილში. ქემალისტების გამარჯვებამ მცირე აზიაში ძალიან ასწია ქემალისტების პრესტიჟი მესოპოტამიაში.

მოკავშირე ხალხმწიფოები და ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი

მოსკოვი 12 სექ. ბრიტანეთის კაბინეთმა გადასწყვიტა, რომ დღევანდელ მომენტში ინტერვენცია არ არის მიზანშეწონილი. ბრიტანეთის კაბინეთის პოზიცია სრუტეების საკითხში უცვლელი რჩება.

გერმანია და ანტანტა

მოლაპარაკება გერმანიისა და ბელგიის შორის

ნაუენი. 11 სექტ. თუმცა გერმანიის მთავრობა არავითარ ცნობებს არ აქვეყნებს გერმანიისა და ბელგიის შორის მოლაპარაკების მსვლელობაზე, საზოგადოებრივი აზრი დარწმუნებულია, რომ მოლაპარაკების შედეგები იქნება ნაყოფიერი. ფიქრობენ, რომ ნიდერლანდიის ბანკი, ინგლისის ბანკების ნაწილი და სახელმწიფო ბანკი—იძლევიან თითო მილიონის გარანტიას ხაზინის ვალდებულებებით, რომელნიც ექვსი თვის განმავლობაში დაფარული უნდა იქნას ოქროთი. ბელგიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ეს წინადადება მისაღებად მიანიათ. სამოლოო გადაწყვეტილება ბელგიის მთავრობას ეკუთვნის.

ბორდო. 11 სექტ. გერმანიასთან მოლაპარაკების ირგვლივ ბრიუსელში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ვითომ გერმანიის მთავრობა ცდილობს მისცეს არა მნიშვნელოვანი გარანტიები

პანნოვერი. 11 სექტ. ბერლინიდან მიღებულ ნახევრად ოფიციალურ ცნობების თანახმად, გერმანიის მთავრობამ პარასკევს საღამოს მისცა წანადადება ბელგიის დელეგატებს, რომელიც ახლა უფრო საფუძვლიანია და განმარტებულია. ბელგიის დელეგატებმა უპასუხეს, რომ პასუხს გასცემენ შაბათს თავიანთი მთავრობისაგან დირექტივების მიღების შემდეგ. ფიქრობენ, რომ შაბათს მოლაპარაკება დამთავრდება.

პანნოვერი. 11 სექტ. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, ბელგიის მთავრობას დაუდგენია მისცეს ახალი ინსტრუქციები დელეგატებს ბერლინში.

პანოვერი, 11 სექტემბერი. თათბირი ბელგიის წარმომადგენლებთან დამთავრების მდგომარეობაშია. ბერლინის პოლიტიკური წრეები დიდი მოუთმენლობით უცდიან ბელგიის მთავრობის პასუხს გერმანიის წინადადებაზე. პრესა გადმოგვცემს ხმებს, რომ ბელგია დაკმაყოფილდება გერმანიის მიერ წარდგენილი გარანტიებით.

ტანეხის ხელშეკრულების გამო.

პანოვერი, 11 სექტემბერი. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიაში სტინესმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას არა ერთხელ გამოუთქვამს სურვილი დადებული იქნას ასეთი ხელშეკრულება. შემდეგ სტინესმა გამოსთქვა იმედი, რომ საფრანგეთის მრეწველობა სრული ნდობით არის აღჭურვილი გერმანიის მრეწველობისადმი და ლიუ-ბერსაკთან მოლაპარაკების დროს ორივემ გადასწყვიტეს არ ეცადონ თავიანთვის ერთი ჰეენინგის მოგების მიღებას.

პანოვერი, 11 სექტ. „ვესტმინისტერ გაზეთის" აზრით, სტინესის ხელშეკრულებას ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს და შეუძლია გავლენა იქონიოს ანტანტის დამოკიდებულების შეცვლაზე საკონტრიბუციო საკითხებში, ითვალისწინებს, რომ საკონტრიბუციო გადასახადების საერთო ჯამი ძალიან დიდად არის მიჩნეული.

უცხოეთი

ფაშისტები.

მოსკოვი 12 სექტემბერი. თუმცა ფაქტას მთავრობამ მიიღო თავის თავზე ვალდებულება აღადგინოს სახელმწიფოში კანონიერება და წესრიგი, ფაშისტები მაინც განაგრძობენ თავის აჯანყებას. 30 ფაშისტი თავს დაესხა ცნობილ იტალიელ კომუნისტის კიპპის სახლს და დაემუქრნენ სასიკვდილო განაჩენით იმ შემთხვევაში, თუ ის არ შესწვევეტს კომუნისტურ აგიტაციას.

ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ:

მოსკოვი. 12 სექტემბერს. დიუსელდორფში საფრანგეთის გენერალმა სიმონმა 3 კვირით დახურა კომუნისტური გაზეთი საფრანგეთის და გერმანიის კომპარტიებისადმი მოწოდების დაბეჭდვისათვის.

გერმანიის მუშათა შორის.

მომკოვი. 12 სექტ. დიუნკირხენში გაიმართა რეინის ოლქის და ვესტფალიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია. გამოტანილი რეზოლიუცია მოითხოვს ზედმეტი სამუშაოს გაუქმებას.

კომუნისტები პოლონეთში.

მოსკოვი. 12 სექტ. ვარშავაში ებრაელთა კომუნისტურ ახალგაზრდობის კრებაზე პოლიციამ დააპატიმრა 80 კაცი.

პოზნანის კომუნისტების საქმის შესახებ სასამართლომ 2 კომუნისტს მიუსაჯა 5 წლის კატორლა, ერთს ექვსი წლის.

გაფიცვები პოლონეთში.

მოსკოვი, 11 სექ. ვარშავაში გაიფიცნენ მკერავები. პროვინციის მთავარ ქალაქებიდან მოდის ცნობები იქ მომხდარ ეკონომიურ გაფიცვების შესახებ.

— ვინაიდან მთავრობამ არ დააკმაყოფილა ფოსტის მუშების მოთხოვნილება, ფოსტა-ტელეგრაფის მუშებმა 6 სექტემბერს გამოაცხადეს გაფიცვები. გაზ. „რაბოტნიკმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც ხელმოწერილია სახელმწიფო მოსამსახურეთა 7 პროფკავშირის მიერ, ფოსტა-ტელეგრაფის მუშების გაფიცვის გამო მოწოდებაში აღნიშნულია, რომ გაფიცვა არის იმ სასოწარკვეთილების აქტი, რომელიც გამოიწვია მოსამსახურეთა აუტანელმა მდგომარეობამ და რასაც ყურადღებას არ აქცევს არც მთავრობა და არც სეიმი. გაზეთი იტყობინება, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა, გაფიცვა მოუდო პოლონეთის რესპუბლიკის ყველა ოლქებს გარდა აღმოსავლეთ გალიციისა.

ვარშავაში მოელიან, რომ რკინისგზელები მხარს დაუჭერენ ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულ მუშებს.

— 11 სექტემბერს ფოსტა-ტელეგრაფის მუშების გაფიცვა დამთავრდა შეთანხმებით რომელიც დადებულია მუშაკთა პროფკავშირებსა და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს შორის. ეკონომიურ ხასიათის დაპირებათა გარდა მთავრობა აღუთქვამს არ იხმაროს რეპრესიები გაფიცულთა წინაააღმდეგ.

პროფკავშირთა თათბირის შემდეგ რკინისგზელების გაფიცვები აღარ მოხდება. მთავრობა დაჰპირდა შეიმუშაოს მოსამსახურეთა ხელფასის ახალი კანონი.

პრესის აზრი

კრაუდენი. 11 სექტ. მორგენტაუმ მოათავსა „სიუნდეი ტაიმსში" წერილი, რომელშიაც სწერს, ოსმალეთი კვლავ სცდილობს გახდეს მსოფლიო სახელმწიფო. ევროპის სახელმწიფონი და ამერიკა მის მხარეზე უნდა იყვნენ. ინგლის პრესტიჟი სერიოზულად შერყეულია ოსმალეთის გამარჯვებით, „მანჩესტერ პოსტი" სწერს, რომ მთავარ ფაქტად ამ მომენტში უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილება ინგლისის მთავრობისა—არავითარ პირობებში არ მოახდინოს სტამბოლის ევაკუაცია და ყველა საშუალებებით აიძულოს მეომარი სახელმწიფონი აწარმოონ მოლაპარაკება დროებით ზავზე. რაც შეეხება სრუტეების თავისუფლების უზრუნველყოფას, ეს საკითხი გაირჩევა სხვა დროს. გაზეთის აზრით, ინგლისის მთავრობის პოზიცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რანაირი მდგომარეობა იქნება ფრონტზე.

არავითარი შეზღუდვა სრუტეებით სარგებლობისა არ იქნება დაშვებული ინგლისის მიერ.

„ტაიმსი“ წერს, რომ საბჭოთა მთავრობამ უკვე მიულოცა ანგორას, უკანასკნელმა კი მიიღო ეს მილოცვა მისთვის ფრიად სერიოზულ მომენტში კმაყოფილებით, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებამ გაუწოდა ხელი ოსმალეთს მძიმე წუთებში.

ეხება რა ოსმალეთის გამარჯვებას, სწერს, რომ საკითხები სტამბოლის, სრუტეების და ფრაკიის შესახებ უნდა დარჩენ იმავე მდგომარეობაში, რა ნაირში იყვნენ ოსმალეთის გამარჯვებამდე.

გაზეთის დახურვა.

ბერლინ სექტემბრის 9 ს „ტანი“ ამოწმებს „ფორვერტსის“ და „ფრეიხეიტი“ ს დახურვას.

„როტე ფანე“-ს რედაქტორის დატუსაღება.

ჰანოვერი. სექტემბრის 11-ს ბერლინში დაატუსაღეს და ციხეში ჩასვეს კომუნისტური გაზეთის „როტე ფანე“ ს პასუხისმგებელი რედაქტორი.

საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე

ჰანოვერი. სექტემბრის 11-ს პარიზიდან მიღებულ ცნობით, პარიზის პოლიის პრეფექტის მიერ აკრძალულია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კრება.

ჰანოვერი. სექტემბრის 11-ს პარიზიდან იუწყებიან, რომ კომუნისტურ პარტიის ლიდერმა, მიუხედავად პოლიციის მიერ აკრძალვისა, განიზრახეს ჩაატარონ კვირას კომუნისტური ახალგაზრდობის კრება.

ოფიციალური ცნობა.

ანგორა. 9 სექტ. (დეპეშით) მიღება დადგენილებულია. დღეს დილის 10 საათზე 30 წ. ჩვენი ელჩნოსანი ნაწილი ტრიუმფით შევიდა სმირნაში.

კონფერენცია ვენეციაში.

ბორდო. 11 სექტ. იტალიის წინადადებაზე შესახებ კონფერენციის მოწვევაზე ვენეციაში, პარიზში ფიქრობენ, რომ სამხედრო მოქმედებათა შეჩერება დამოკიდებულია უპირველესად ყოვლისა მეომარ სახელმწიფოთ. მოკავშირეებისაგან. ამ ეამად უცდიან ანგორის პასუხს, რომელიც, როგორც გონიათ, მიიღებს წინადადებას დროებით ზავს ჩამოგდების შესახებ.

კაბინეთის შედგენა.

ჰანნოვერი. 11 სექტ. ათინიდან იტყობინებიან, რომ სკულიდისის მიერ კაბინეტის შედგენაზე უარის თქმის შემდეგ, პ. რაგელოპულოსმა იკისრა თავის თავზე კაბინეტის შედგენა. კაბინეტში შესვლის თანხმობა უკვე განაცხადეს პუსისმა და ტრიანდათილაკოსმა. პარაგელოპულოსი შევიდა 1916 წ. 1921 წლამდე იყო ეკბეის წარმომადგენელი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბერძნეთის წარმომადგენლად ალმოსავლეთის კონფერენციაზე ლონდონში.

რუსეთი

ბრძოლა ბანდიტიზმის წინააღმდეგ

მოსკოვი. 12 სექტ. სტავროპოლის გუბერნიაში დანებდა 30 ბანდიტი ალანოვის მეთაურობით.

წითელი ჯარავანი

მოსკოვი. 14 სექტ. ომსკის საშუალებით აკმოლინის გუბერნიაში გაემგზავრა ყირგიზეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტის წითელი ჯარავანი, რომელიც გაიგზავნა საბჭოთა და პარტიულ მუშაობის შესასწავლად ყირგიზეთის მხარეს სხვა და სხვა ადგილებში. ჯარავანმა გაიარა ცხენებით 3000 ვერსი, მცხოვრებნი ყველგან დიდის თანაგრძნობით ეგებებოდნენ.

სამეურნეო ფრონტზე

მოსკოვი. 14 სექტ. დონის აუზის მომუშავე კომუნისტი მემალმოერეებმა კვირაობის სახით, 3 დღის განმავლობაში დატვირთეს 30 ვაგონი ნახშირით, რომელიც გაიგზავნა უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საზოგადოებრივ კომიტეტის სახელზე.

ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ უკრაინაში

მოსკოვი 12 სექ. უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია უკრაინაში აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას. შემუშავებულია ვრცელი გეგმა საზოგადოებრივ სამუშაოებისა, უმთავრესად უკრაინის სამრეწველო ცენტრთა ინდუსტრიალურ პროლეტარიატისათვის და დონის გუბერნიის მელითონეთათვის. უკრაინის სახელმწიფო გეგმის შემმუშავებელმა კომიტეტმა გადასდო სამუშაოებისათვის 100 მილ. მანეთი.

საბჭოთა მართლმსაჯულება

მოსკოვი 12 სექ. სეგიპალატინსკში დამთავრდა საქმე პავლოდარის კონტრრევოლიუციონურ შეთქმულებაში 28 მონაწილეთა, რომელთა რიცხვში არის ყოფილი ოფიცერი—ესერი, ქალთა გიმნაზიის უფროსი და სხვ. 5 კაცს მიუსაჯეს დახვრეტა.

ნაუგორროდის ბაზრობა.

მოსკოვი 12 სექტ. ს. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცნობით, ნიჟეგოროდის იაზრობაზე დამთავრდა ბანუფაქტურაზე საჯარო ვაჭრობა. ვაჭრობა მიმდინარეობდა ჩქარი ტემპით.

— საქონლის გატანა ჯერ-ჯერობით სუსტად მიმდინარეობს. რვა სექტემბრამდე გატანილია ხოლოდ 500.000 ფ. შუა აზიაში და სპარსეთში გაავზეთ განსაკუთრებით რკინეულობა.

სრულიად რუსეთის დამზღვევი ორგანიზაციების თათბირი.

მოსკოვი 12 სექტ. სრ. რუსეთის დამზღვევ თათბირმა გამოიტანა რეზოლიუცია საექიმო დახმარების შესახებ, რომელშიაც ნათქვამია საექიმო დახმარების გაუმჯობესებაზე და კარგად დაყენებაზე. ამის მიღწევა შესაძლებელია დამზღვევი ფონდით, რომელიც გადადებულია საექიმო დახმარებისათვის, მხოლოდ პირდაპირ თავის დანიშნულებისამებრ მოხმარების პირობებში.

არსებული პრაქტიკა მიზანშეუწონელად ფანტავს ძალებს და საშუალებებს და ქმნის წვრილ საავადმყოფოებს. მიზანშეწონილად არის ცნობილი ხელშეკრულებითი ხასიათის ურთიერთობის შექმნა ჯანმრთელობის განყოფილებისაგან. დამზღვევ ორგანოებს უნდა მიეცეს უფლება დამატებითი მატერიალურ საშუალებათა გამოსანახავად სამეურნეო ორგანოებთან ეთანხმების გზით, აგრეთვე—უფლება ისარგებლონ დარჩენილი თანხებით და სხვა ფონდებით საექიმო დახმარების გაუმჯობესებისათვის, დედა და ბავშვთა სახლების მოსაწყობად. დამზღვევი ორგანოების შექმნილი სამკურნალო დაწესებულებები უნდა შეუდგენ ჯანმრთელობის კომისარიატს, სამკურნალო დაწესებულებათა ექიმთ, ვინაიდან შენახული უნდა იქნეს საექიმო სასანიტარო ორგანოების ერთიანობის პრინციპი. ჯანმრთელობის და სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატებმა უნდა გამოიმუშაონ დამოკიდებულების სქემა დამზღვევ ორგანოებთა და ჯანმთელობის განყოფილებათა შორის.

წითელ-არმიელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

მოსკოვი. სექტემბრის 12-ს წითელ არმიელთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სამხედრო ნაწილი, შეფობის გარდა, უნდა მიეწეროს განსაკუთრებულ პროფკავშირებს, რომელიც მას აძლევს დახმარებას.

სახურხათო გადახადი.

მოსკოვი. 12 სექტემბერი. საბჭოთა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე 8 სექტემბრისათვის შემოვიდა 25,472,000 ფუთი ხორბალი.

— ცარიცინის მოსაგროვებელ პუნქტში არჩეულებრივი ალტაცებაა.

— 10 სექტემბერს ჩუვაშის ოლქში შეკრებილია სასურსათო გადასახადის 76 პროც.

— 1 სექტემბრამდე კრასნოდარის ოლქში შეგროვილია 8.500.000 ფუთი ხორბალი.

თესვის კამპანია.

ნოსკოვი. 12 სექტემბერი. თესვის კამპანია ბაშკირეთში გაცხოველებულია ზოგიერთ თემებში დათესილ მიწების ასე 3 ჯერ და 8 ჯერ ალემატება შარშანდელს.

სახოფლო მეურნეობის პროდუქტების გამოყენა.

მოსკოვი. 12 სექტემბერი. ნოვოროსიისკში გაიხსნა შავის ზღვის სოფლო სახოფლო მეურნეობის პროდუქტების გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ზღვის სანაპიროების ყველა სოფლის მეურნეები.

ახალი ამბები

— წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზია, რომელიც დღემდის მოთავსებული იყო რუსთაველის პრ. № 9, „ორიანტის“ს სატუმბოს ქვეშ, გადატანილია ისევ ძველ ბინაზე—სასახლის ქ. № 5 შესასვლელი ეზოდან. მაღაზია ღიაა დილის 9 საათამდე. იყიდება როგორც სახელმძღვანელო, სასალხო საკითხავი და სამეცნიერო წიგნები, ისე საკანცელარიო ნივთები—რვეულები, საწერი ქაღალდი და სხვ.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** ოთხშაბათს, სექტემბრის 13-ს, საღამოს 8 საათზე, ეროვნულ გალერეიის დარბაზში ეოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც ლ. მელიქსეტ-ბეგი წაიკითხავს მოხსენებას: „საეპისკოპოზო ნასაყდრევები გარე-კახეთში—კაწარეთი“.

პროკინციის ცხოვრება

დახმარება დამშეულთ. ჭიათურაში დასრულდა შავი-ქვის მრეწველთა ყრილობა, რომელმაც ერთხმად მიიღო, რომ შორაპნის მაზრის დამშეულთა სასარგებლოდ გადადებულ იქნეს 50 გირ. სტერლინგი.

საბავშვო სახლი გორში. გორის სამაზრო კომიტეტის საბინაო განყოფილების ინიციატივით იხსნება ქალაქში საბავშვო სახლი ღარიბ და უპატრონო ბავშვებისათვის. ამ მიზნით განყოფილებამ მიმართა საბჭოთა დაწესებულებებს დახმარებისათვის. რამდენიმე დაწესებულება ხალისით გამოეხმაურა მოწოდებას. საბავშვო სახლის ფონდის შესაქმნელად კომისიამ გამართა წარმოდგენები, სეირნობანი, აგროვებს შემოწირულებას და სხ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინა ყოველთვიურად 52 მილიონის გადადება საბავშვო სახლისათვის. ბინა უკვე დაჭერილია. ახლო მომავალში სახლი გაიხსნება.

მუშათა კლუბის შეკეთება. გორის აღმასკომმა დააკმაყოფილა თხოვნა მუშათა კლუბის დროებით მართველობის 250,000 აგურის გაცემის შესახებ, კლუბის შეკეთებისათვის.

ვაჭართა შორის. ბათომის ნეგოციანტთა საერთო კრებამ გადაწყვიტა აღძრას შუამდგომლობა იმ ზომების შესახებ, რომელიც გააუმჯობესებს ადგილობრივ ვაჭრობას და მრეწველობას. ამ ზომებში შედის კორესპონდენციის საკითხისა და ვალიუტის გადაგზავნის საქმის მოგვარება და სხ.

საკურორტო სეზონის დახურვა. ბორჯომის საკურორტო სეზონის დახურვა განზრახულია 15 სექტემბერს. ავადმყოფები უკვე მიემგზავრებიან, მიუხედავად იმისა, რომ წვიმების შემდეგ კარგი ამინდები დადგა.

გზების შენება რაჭაში. რაჭის აღმასკომის ეკონომიურმა განყოფილებამ უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში თავისი მუშაობა მოანდომა სამხედრო-ოსეთის გზის შეკეთებას, რომელიც ძალზე დაზიანებული იყო. განწმენდილ იქნა დიდი ზვავისაგან 130 ვერსი; გაყვანილ იქნა კედლები გზის გამაგრებისათვის 143,22 კუბიკური საჟ. გაყვანილ იქნა 4 ახალი ხიდი, სიგრძით $17^1/_2$ საჟ. შეკეთებულ იქნა 2 ხიდი. ნაქერალას გზაზე გაყვანილ იქნა ორი ხის ხიდი.

ახალ-სენაკში. სენაკის სამაზრო აღმასკომის მიერ აგვისტოს თვე გამოცხადებული იქნა განსაკუთრებულ სამუშაო თვეთ. კამპანიები მაზრაში ჩატარდა წარჩინებით. გაყვანილ იქნა ახალი ხიდები და შეკეთებული ძველი. სასკოლო შენობის აღდგენისათვის თითოეული თემი იღებს 150—200 მილიონს. გზების შეკეთების სამუშაო მცხოვრებთა მიერ შესრულებული იქნა განსაკუთრებული ენტუზიაზმით. აღძრულ იქნა შუამდგომლობა ცენტრალურ აღმასკომისა და უმაღლეს სამეურნეო საბჭოში დახმარებისათვის აუცილებელ მატერიალების შესაძენად.

ბათომის ნავთსადგურში. საზღვაო ტრანსპორტის მიერ დამუშავებულია ბათომის ნავთსადგურის რემონტის გეგმა. მუშაობა დაიწყება საშუალებების დაგროვების მიხედვით. საერთო ხარჯთ-აღრიცხვით განზრახულია რემონტისათვის 4 მილიარდი მანეთი.

წყალდიდობა. 7 სექტემბერს აღგილი ქონდა წყალდიდობას ბათომის ახლო მხარეებში. ტელეგრაფის მუშაობს ტფილისთან შეწყდა. სადნატანებთან, სუფსასთან და ქობულეთთან რკინის-გზის ლიანდაგი დაისილა. ბათომმა დაკარგა შეერთების საშუალება მახლობელ სადგურებთან. საღამომდე მატარებელი არ გასულა. არის ცნობები, რომ ოზურგეთი დააზიანა წყალდიდობამ. არის მსხვერპლიც. ოზურგეთის მახლობლათ სერიოზულად დაზიანებულია რამდენიმე სოფელი. ბათომიდან დაჩქარებით გამოვიდა დახმარება.

წყალდიდობა ბათომში. 10 სექტემბრის ცნობის თანახმად, წყალდიდობით ბათომში დაიფარა აჭარისა და ოლდის ქუჩა. დაზიანება უმნიშვნელოა. ქალაქის მახლობლად დაზარალდა სიმინდის ყანები. ოზურგეთიდან ცნობებია, რომ ქალაქში ამ ჟამად დაუზიანებელია. ადამიანის მსხვერპლი [illegible] ობა სერიოზულია [illegible] ვში, უჩხუმში, შემოქმედში და სხ. ადგილებში, სადაც არის ადამიანის მსხვერპლი და დაღუპულია მრავალი საქონელი. აუცილებელია დახმარება. შექმნილია კომისია ზარალის გამოსაკვლევად და დახმარების აღმოსაჩენად. აჭარის კომისართა საბჭოსთან დაარსდა კომისია დაზარალებულთა დასახმარებლად.

საშინაო ქრონიკა.

გაზეთი „ბახტრიონი“. გამოვიდა მორიგი საგანგებო ნომერი (№ 10) გაზ. „ბახტრიონისა“, რომელშიაც მოთავსებულია წერილები და მოგონებები ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონული სადგური.

ტფილისიდან მეთვრამეტე ვერსზე დასავლეთით, სახელდობრ ზემო-ავჭალაში შენდება ჰიდრო-ელექტრონული სადგური. ეს დიდი საქმე ახალ დაწყებულია და ჯერ-ჯერობით ბარგი პირი უჩანს. თუ რამდენად მიზან შეწონილი და სასარგებლოა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, არამც თუ საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასიის მასშტაბითაც წყლის ენერგიის გამოყენება,—ამაზედ ცოტა ქვევით მოვიდაპარაკებთ. უნდა ითქვას ეს საქმე მთავრობას არ დაუწყია სახელდახელოთ ყველა მოქმედების აზრს წინასწარ მოფიქრების ტ ძ ენის დაღი აზის. მუშაობაში ჩაბმულია საქართველოში მყოფი ყველაზედ მცოდნე და ენერგიული ტექნიკური ძალები. მთავარი ხელმძღვანელი ამ საქმის არის ინ. ფირალიშვილი—წყალშენის გამგე. ვინც იცნობს წყალშენის მუშაობას, მას ეცოდინება ფირალიშვილზედ—ეს ცნობილი პიროვნებაა საქართველოში. ენერგიული და შესანიშნავი ორგანიზატორი. ტექნიკურ მხარეს გაანაგებს ინ. მელიქ-ფაშაევი „თეთრი ნახშირის“ საუკეთესო მცოდნე, უახლოეს მონაწილეობას იღებს ნიჭიერი კოვენიკოვი და ბევრი სხვები. ასე რომ ტექნიკური ძალებით ეს საქმე უზრუნველყოფილია.

ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური, ეს პირველი სერიოზული ცდაა საქართველოს წესიერი ელექტროფიკაციისა და ამ საქმის კარგად დაბოლოვება სურვილი უნდა იყოს, ვინც საქართველოს აყვავებას გულით ცდილობს. ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური მნიშვნელოვანია მთელი კავკასიისათვის. ტექნიკურ სფეროში, სადაც კავკასიის ელექტროფიკაცია სადღეისო და საჭირბოროტო საკითხი გახდა, ამ სადგურის აგება მთელი რევოლიუციაა. ამ სადგურის აგებით საბჭოთა საქართველო ტონს აძლევს მეზობელ რესპუბლიკებს.

რა სარგებლობა მოაქვს საერთოდ ელექტროფიკაციას? რას წარმოადგენს კერძოთ ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური? რატომ აქცდა არაფერი არ გაკეთებულა ამ დარგში? ეი საკითხები, რომელზედაც მოგვიხდება ლაპარაკი.

ცნობილია, რომ ბუნებრივი სიმდიდრის, ნედლი მასალის გარდასაქმნელად საჭიროა ენერგია და რამდენათაც ადვილად შეძლებს ადამიანი ამ ენერგიის შეძენას, რამდენათაც იოფათ შეიძენს ამ ენერგიას, იმდენთ ადვილად გაუკეთებს ბუნებას ექსპლოატაციას და გააუმჯობესებს ცხოვრების პირობებს.

ყველაზედ უიაფესი ენერგია ამასთანავე დაუშრეტელი არის თეთრი ნახშირის, ანუ მდინარის ენერგია. ამიერკავკასია, თავისი ჩქარი მდინარეებით კარგ პირობებშია. ამ შემთხვევაში მდინარეების გამოყენება ისე ფართედ შეიძლება ჩვენში, რომ სხვა სარგებლობის გარდა, შეიძლება მთელი საწვავი მასალის გადარჩენა. აქ რასაკვირველია უნდა ვიგულისხმოთ, რომ წარმოებები, რომლებიც სარგებლობდენ საწვავი მასალით, ფართედ ისარგებლებენ ელექტროფიკაციით. მაშასადამე, როდესაც ჩვენ ვსვამთ საკითხს თუ რამდენათ შეუძლია ელექტროფიკაციას ჩვენი მხარე ეკონომიურად ძლიერი გახადოს, უნდა ვიანგარიშოთ, რამდენ საწვავ მასალას გადარჩენს და გავითვალისწინოთ, რამდენათ უმჯობესია, რამოდენა უპირატესობა აქვს წყლის დაუშრეტელი ენერგით სარგებლობას... აქვე უნდა ითქვას, რომ თეთრი ნახშირის გამოუყენებლობის მიზეზი გახდა რუსეთის კარჩაკეტილი ბიუროკრატიზმი და წარმოუდგენელი უნიათობა, რომელიც ქვეყნის ადორძინებას მუდამ საცოდავი ნაბიჯით მიაჩანჩალებდა. იყო გრე თვე ყალბი მოსაზრება სპეციალისტებისა; ზოგიერთების აზრით, ისეთ ჩამორჩენილს მხარეში, როგორიც ამიერკავკასია, ელექტრონის ენერგია ვერ ჰოვებს საჭირო ბაზარს ჯერ-ჯერობით. უარყოფა კი ამისა, რომ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება მხოლოდ ელექტროფიკაციით შეიძლება არ არის საეჭვო და ელექტროფიკაციის საკითხი მუდამ შორეულ მომავლისათვის იყო გადადებული. ამ ეამად კი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ელექტროფიკაცია საჭირბოროტო და სადღეისო საკითხია და მისი სარგებლობაც განმარტებულია უნდა იქნეს.

ამიერ-კავკასიის წარმოებაში უმთავრეს საწვავ მასალათ ითვლება ნავთი და ქვანახშირი. ამ საწვავი მასალის საჭიროება და მოიხმარა შედარებით ურიცევი იყო ომამდე და ამას ამტკიცებს ცნობები 1911, 1912, 1913 წლეებისა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი რაოდენობა საწვავი მასალისა იხარჯებოდა საშუალოდ ამიერ კავკასიაში.

1912 წლის ცნობებით, მთელს ამიერკავკასიაში იხარჯებოდა ქვანახშირი შემოტანილი და ადგილობრივი (ტყიბულის) 6.305.886 ფუთი, ეს შეადგენს მთელი საწვავი მასალის 4,41 პროც.; ნავთი და მაზუთი—81.030.000,—რაც შეადგენს—95,59 პროც., სულ ამ წელში დიხარჯა საწვავი მასალა ნავთზედ გადატანილი—84.766.000 ფუთი.

ბაქოს ნავთის რაოდენობა იმავე წლებში იყო საშუალოდ 467.700.000 ფუთი ასე, რომ ამიერ-კავკასიას სჭირდება 18,5 პროც. აქედან. მაშასადამე ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის მიზანი რომ იყოს მარტო ამ საწვავი მასალის გადარჩენა, და სხვა არაფერი, ესეც კი საკმარისია იმისათვის, რომ ელექტროფიკაცია აუცილებელია. არ შეუდგებით აქ ჩვენი ქვეყნის დაუშრეტელ სიმდიდრის გადამუშავებაზე და მის ექსპლოატაციაზე ლაპარაკს, რომელიც შესაძლებელია ელექტროფიკაციის საშუალებით, კავკასიის მთები და განსაკუთრებით საქართველო, მდიდარია ქვანახშირით, რკინით, სპილენძით, ნავთით და მრავალი სხვებით და ეს სიმდიდრე უსარგებლოთ განისვენებს მიწის სიღრმეში.

და თუ არაელექტროფიკაცია, არამც თუ მიწაში ჩაფლულ სიმდიდრეზე გვექნება ლაპარაკი, არამედ იმ სუსტ წარმოებაზედაც მოგვიხდება ხელის აღება, რომელიც დღეს ჩვენშია. როგორც ზემო მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, ჩვენი წარმოების საჭიროებისათვის ენერგიის შემქმნელი მასალა ბაქოს ნავთია 94,09 პროც. და ამ ნავთის საქმე სულ უკან უკან მიდის—76 პროც. ბაქოს ნავთისა მიდის ამოქაჩვაზე. თუ 1892 წელში ნავთი ღირდა 1,1 კაპ. 1913 წ. მისი ფასი ავიდა 40,5 კაპ. ასეთი ფასის აწევა გამოიწვია ბაქოს ნავთის ექსპლოატაციის გაძნელებამ. მომყავს საილუსტრაციოთ ცნობა, რომელიც გადმომცა ინ. მელიქფაშაევმა: „1887 წლიდან 1915-მდე შესანიშნავი ცვლილება ხდება. საექსპლოატაციო არე გაიზარდა 236 დესეტინიდან 2191 დესეტინამდე ანუ 9,26 ჯერ ნავთის ჭები 651-დან ავიდა 7307-მდე ანუ გაიზარდა მათი რიცხვი 11,2-ჯერ, საექსპლოატაციო ჭები 216-დან—3714-მდე ანუ—17,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1915 წელში მიღებული ნავთი მეტია 1887-ში მიღებულზე მხოლოთ 2,87-ჯერ. იზრდება საექსპლოატაციო არე, იზრდება ჭების რიცხვი და მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული ნავთის რაოდენობა პროცენტულად უმნიშვნელოა, უმთავრესი მიზეზებია ამის ის გარემოება, რომ ჭების სიღრმემ მოიმატა—80 სჟ-დან—185-მდე ანუ 2,46 ჯერ, შადრევანის ნავთი დამცირდა 13,4, და ამოდენ. სითხეში პროცენტულად მეტი წყალია, ვიდრე იყო. ბაქოს ნავთი კატასტროფიულ მდგომარეობაშია, თუ ასე გაგრძელდა, მის მიღებაზე იმდენი დახარჯება, რომ ღირს ეღირება მასზე შრომის დახარჯვა. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად აუცილებელია წყლის დაუშრეტელი ენერგიის გამოყენება, ეს გადაარჩენს დახლოებით 90.000.000 ფუთ ნავთს წელიწადში და მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, თუ რა დიდი ეკონომიაა ეს საწვავი მასალისა. როგორც მოვიხსენიეთ, ასე ფართედ ჯერ არც ერთ მთავრობას არ დაუსვამს საკითხი, მხოლოთ 1910 წელში დაისვა საკითხი ტფილისის ელექტროფიკაციისა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არსებული ელექტრონის სადგურები კარგათ მუშაობდენ, საკითხი მწვავეთ იდგა და იყო სურვილი მტკვრის და არაგვის ძალის გამოყენების, მხოლოთ სურვილი სურვილათ დარჩა, დღეს კი, როცა ფტილისში 42 ელექტრონის სადგური 8,500 ცხენის ძალისა და მხოლოდ 3,000 ცხენის ძალას ვღებულობთ, მანქანები ძალზე გაცვეთილია, ნავთზე ფასები დღითი დღე იზრდება, ერთადერთი გზა არის წყლის ენერგიის გამოყენება. და ჩვენ მოწამენი ვართ, რომ ეს საკითხი პრაქტიკაში გადავიდა. ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტრონული სადგური 12.000 ცხენის ძალას იქნება, დაახლოებით ერთი მეორმოცდათედი ნაწილი იმის. რაც საჭიროა ამიერ კავკასიის ელექტროფიკაციისათვის, მაგრამ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლავე გავითვალისწინებთ. ის წაშლის ტფილისში უსისტემოთ აგებულ ყველა ელექტრონის სადგურებს და გადაარჩენს ყოველწელიწადში 1,500,000 ფუთ ნავთს. შეიძლება ავრეთვე დიდმის მინდვრის მოსარწყავ ამავე ენერგიის გამოყენებით. დიდმი 5 ვერსზეა ტფილისიდან, მოარწყავია 1480 დესეტინა, მორწყვა არაგვის საშვალებით განხორციელდა, რადგანაც ძალიან ჩთუელი იყო და ძვირათ ჯდებოდა. ამ სადგურის საშვალებით კი დიდმის მინდვრის მორწყვის ხარჯები მცირდება 69 პროც. ამის გარდა შესაძლებელი გახდება 300 დესეტინა ავჭალის მინდვრებს მორწყვა.

თავის თავად ცხადია, რომ იმ აუარებელი ხარჯების ასანაზღაურებლათ, რომელსაც გამოიწვევს ჰიდროელექტრონული სადგურის აგება, საჭიროა ასე ვსთქვათ ელექტრონის ბაზარი, ეკონომიურათ განვითარებული ცენტრები და სწორეთ ასეთ ცენტრათ მთელს ამიერ კავკასიაში ტფილისია, რომელიც გამართლებს ჰიდროელექტრონული სადგურის აგების საჭიროებას.

ჰიდროელექტრონული სადგურის აგების უპირატესობა იმაშიც არის, რომ 65 პროც. მუშაობისა დახლოებით არის ჰიდროტეხნიკული, აღმშენებლობითი, რომელიც შეიძლება შესრულდეს ადგილობრივი ძალებით და საშვალებით. ინ. ფირალიშვილის ვარაუდით თუ უფულობამ ხელი არ შეუშალა ამ დიდ საქმეს, მისი დასრულება შეიძლება ორ წელიწადში.

მიუხედავათ იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში შესძლეს წყლის ენერგიის 500 ვერსზე გადაცემა და ჩვენში ეს მხოლოთ 14 ვერსზე ხდება, ჩვენთვის ეს მაინც პირველი და ძალზე სასიხარულო ნაბიჯია.

დაწყებულია დიდი საქმე და მისი კარგათ დამთავრება, თავდები იქნება საქართველოს ეკონომიურათ აღორძინების.

ს. ჭ.

მოწერილი ამბები

წალენჯიხა. ხუთშაბათს, აგვისტოს 25-ს ადგილობრივ თეატრში გაიმართა ქართველი ქალის სახალხო გასამართლება. ბრალმდებლათ გამოვიდნენ კ. კაპანელი და ა. ფალავა, ხოლო დამცველებათ კი ი. გრიშაშვილი და სერ. დანელია. კაპანელის ბრალდება შემდეგი ხასიათისა იყო: ქართველი ქალი თავისი ბუნებით ამაზონია; ეს თვისება ქართველმა ქალმა შეიგრძნო და შეითვისა ჩვენი ერის ისტორიული ვითარების გამო. ჩვენში ბრძოლის კულტი იყო უაღრესათ განვითარებული და ეს ბრძოლის ატრიბუტები თავისებურად აისახა ქართველი ქალის ბუნებაზედაც. ჩვენს ისტორიაში მრავალი მაგალითებია ქართ. ქალის ამაზონობის, ამორძალობის კულტის და ეს თვისება შეინარჩუნა მან მთელი ჩვენი ისტორიის გასაქანზე—დღემდე. ამორძალობის კულტის გამო ქართ. ქალმა დაკარგა სიყვარულის და სექსუალობის გრძნობა და ჩამოშორდა ოჯახს. ასეთივე მდგომარეობაა ამ ჟამად, როდესაც ჩვენში ქართ. ოჯახი არ არის შექმნილი და არა გვაქვს ნამდვილი რომანი არც ლიტერატურაში და არც ცხოვრებაში ყოველივე ამის გამო ქართ. ქალი ვერ ჩაუდგა ოჯახს სათავეში, ვერ გახდა ბურჯი ერის გამრავლებისა, მისი ცივილიზაციის, რის გამო ის დამნაშავე არის როგორც ჩვენი ერის, ისე კაცობრიობის წინაშე.

ბრალმდებელმა ამის გარდა მოიყვანა მაგალითები თავის ბრალდების დასამტკიცებლათ ქართ. ლიტერატურიდან; შეეხო „ვეფხვის ტყაოსნის“ ქალების ტიპებს, ილიას „ოთარაანთ ქვრივს“ და აზბეგის „ელიონორას“.

დღევანდელი ქართ. ქალი—დაასრულა ბრალმდებელმა,—არ არის არც ამაზონი და არც სექსუალური, მან უნდა შეიგნოს და გაიგოს თავისი ნაკლულევანებანი და ეცადოს მის აუცილებლათ გამოსწორებასო.

მეორე ბრალმდებელმა ა. ფალავამ ბრალდებას დაუმატა კიდევ ის ბრალდება, რომ დღევანდელ ქართ. ქალში მასთან ერთად რომ არ არის მეოჯახე, არ არის ხელოვანი, მეცნიერი,—გარდა ამისა აღზრდის და ენის საკითხშიც ვერ იჩენს თავის უნარს და საქმიანობას; პირიქით, მრავალ შემთხვევაში დიდათ დამნაშავე არის ამ მხრითო.

დამცველი ი. გრიშაშვილი შეეხო უმთავრესად ბრალდებას ქართ. ქალის არა სექსუალების შესახებ. დამცველმა უსაყვედურა ბრალმდებელს, რომ ის შეეხო აზბეგის ერთათ ერთ ტიპს ელეონორას, იმ დროს, როდესაც სხვა მისი გმირები ზიდან შ. არაგვისპირელის და ვ. ბარონოვის თხზულებიდან, დ. ჯანაშვილის „ქართ. ქალები“-დან და სხ. დღევანდელი ქართ. ქალის არასექსუალობაში საკმაოდ დიდი ბრალი მამაკაცებსაც მიუძღვითო. თქვენ შეგიძლიათ ქართველ ქალს რაც გნებათ ის დასწამოთ,—დაასკვნა გრიშაშვილმა,—მაგრამ მის ვნებიანობაზე, სიყვარულის გრძნობაზე და მათ სხვა და სხვა ფორმაში გამომჟღავნებაზე ერთი სიტყვაც არ გექნებათ ბრალდებათო,

მეორე დამცველმა სერ. დანელიამ ილაპარაკა საკითხის დასმის მეთოდის შესახებ: სანამ ქალთა საკითხს დავსვამდეთო, სთქვა დამცველმა, ჩვენ გარკვეული უნდა გვექნეს ქალის იდეალური სახე; მაგრამ ასეთი რამ ობიექტიურათ არ არსებობს, არის მხოლოდ ქალის სუბიექტიური დაფასება. ამას გარდა ჩვენ არა გვაქვს. მასალა ქართველი ქალის იდეალური სახის გამოსაჩენათო. ქართ. ლიტერატურაში არ არის ქართ. ქალის სახე გამოვლინებული და მაშასადამე მისი საშუალებით ქალის შეფასება შეუძლებელიაო. ყოველივე ამის გამო,—სთქვა დამცველმა,—ეს საკითხი მოხსნილ უნდა იქმნესო. არსებითად მეორე დამცველს არა უთქვამს რა.

ბრალმდებლის კ. კაპანელის—საბოლოო სიტყვის შემდეგ გაიმართა სასამართლო და ნაფიც მსაჯულთა თათბირი, რის შემდეგაც გამოტანილ იქნა განაჩენი: სასამართლომ სცნო ქართ. ქალი ამაზონობის კულტის მატარებლად და აღიარა, რომ ეს კულტი ხელს უშლიდა ქართ. ქალს მის მეოჯახეობას, ხოლო ბრალდება მისი არასექსუალობის შესახებ უარყოფილ იქნა.

გასამართლებას ხალხი მრავლათ დესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

გ—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 48.

განათლების მუშაკთა კავშირის და განათლების სახალხო კომისარიატის და მათი ორგანოების ადგილებზე ურთიერთ შორის დამოკიდებულება.

ურთიერთ დამოკიდებულების საფუძვლად აღებულია სრ. რუსეთის პროფ. კავშირთა საბჭოს ცირკულარი ყველა პროფკავშირების მიმართ, რომელიც ეხება ამათ სამეურნეო ორგანოებთან დამოკიდებულებას.

ქონტაქტი განათლების კომისარიატის და ადგილობრივ განათლების განყოფილებათა კავშირებს შორის ხორციელდება შემდეგის სახით:

კავშირი: ა) გზავნის წარმომადგენელს სახ. კომისარიატთან არსებულ თათბირში ყოფ. კოლეგიაში და განათლების განყოფილებაში.

ბ) იღებს მონაწილეობას განათლების კომისარიატის და განათლების განყოფილების ხელმძღვანელ ორგანოების და სხვა დაწესებულებების განყოფილებების ადმინისტრატიულ და სხვა თანამდებობის პირის დანიშვნაში (ასახელებს თავის კანდიდატს და საერთოდ მსჯელობს კომისარიატის და განათლების განყოფილების მიერ წამოყენებულ კანდიდატებზე).

გ) იღებს მონაწილეობას განათლების კომისარიატთან და განათლების განყოფილებასთან არსებულ მუდმივ თუ დროებით მოწვეულ კომისიების მუშაობაში, მაგ. საგეგმო, საპროგრამო, მეთოდიური და სხვა სპეციალურ კომისიებში.

დ) იღებს მონაწილეობას განათლების მუშაკთა შრომის ჯილდოს დასაფარავად თანხის გაღებაში და უკანასკნელის განაწილებაში როგორც განათლების კომისარიატში, ისე განათლების განყოფილებაში.

ე) ისმენს პერიოდულად განათლების კომისარიატის, განათლების განყოფილების და ხელმძღვანელ კომიტეტების მოხსენებას მათ მუშაობაზე.

ვ) ანგარიშებს უშუალო მეთვალყურეობას და კონტროლს სახ. განათლების კომისარიატის და განათლების განყოფილების მიერ დასახულ გეგმების და პროგრამების ცხოვრებაში გატარებისა საქმეში, ამასთანავე არ არღვევს გამოსაკვლევ დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობის მსვლელობას.

სახალხო განათლების კომისარი
დ. კანდელაკი.

კავშირის პასუხისმგებელი მდივანი **შალვა გეგენავა,**

დედანთან სწორია: საქმეთა მმართველი ალ. **ბარამიძე.**

1 სექტემბერი 22 წ.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

მოძეცით ნება „ტრიბუნის“ № 286-ში მოთავსებულ წერილზედ უპასუხო ბ—ონ „მაქს-იმეს“.

ბ—ნო „მაქს-იმე“ თქვენ წერილს ჩვენში არავითარი აურზაური არ გამოუწვევია და არც დიოგენის ფანრით დაგეძებთ; არა, ჩვენ კანონის ძალით მოვითხოვთ პირადათ თქვენ გამოცხადდეთ სასამართლოში, მანამდის ჩვენ არ გვაინტერესებს თქვენი პირადობის გაგება, მხოლოდ მაკვირვებს ერთი; თქვენ მოქ. ელენტს ოთხი მილიონის გაფლახგვას აბრალებთ თქვენ პირველ წერილში, ეხლა კი რწმუნებულად ნიშნავთ. რაშია საქმე?

„მაქს-იმე“ იგივე კაციაშვილი ხომ არ არი?.

პ. გრიგურაშვილი.

—

ამხ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი. 1917 წლიდან ვირიცხებოდი საქ. სოც.-ფედერალისტთა პარტიაში. მე 6 კონფერენციის შემდეგ, როდესაც პარტიაში მოხდა განხეთქილება არც ერთ ფრთასთან არ მქონია კავშირი. დღეიდან შევდივარ საქ. მემ. სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, რადგან მხოლოდ ის დგას რევოლიუციისა და საქართველოს სადარაჯოზედ და მტკიცეთ იცავს პარტიის პრინციპებს.

სტ. **ამბროსი სამსონის-ძე იობიძე.**

—

ამხ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთ „ტრიბუნას“ საშუალებით გავაცნო მკითხველ საზოგადოებას ჩემი სურვილი.

1919 წლიდან ვიმყოფებოდი სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, სიამოვნებით ვიზიარებდი მათ მსოფლმხედველობას. მაგრამ მოხდა გარდატეხა და ის იყო, რომ ზემოხსენებული პარტია გაიყო ორ (ემარცხენე და ემარჯვენე).

ჯერ-ჯერობით მე მუშაობაში ვიყავ, მაგ[illegible] მდგ დავრწმუნდი მასში, თუ რომელი მიმართულება იყო მშრომელ მასსისათვის საუკეთესო.

რის შემდეგ ვიზიარებ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის პოლიტიკას და მსურს ამოუდგე გვერდში პატივცემულ ამხანაგებს.

დ. ზეფრ. შვილი. (ივივე დ. ხაზალია).

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1653 ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილმა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 304

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ქ. ტფილისში

შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი

კომისია

ამით აცხადებს, რომ

1) **ფულით შეცვლის შეტანის უკანასკნელ დღეთ ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა 15 სექტემბერი.**

2) ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის ა. წ. 31 აგვისტოს დადგენილების § 2 **თანახმად, კომისიის კონტროლიორებს ენიჭებათ უფლება დანიშნონ ცალკე სახლებში და ბინებში ფულის შეტანის სავალდებულო ვადები 1-დან 15 სექტემბრამდე. ის პირნი, რომელნიც კონტროლიორების მიერ დანიშნულ ვადაზე არ შეიტანებენ გადასახადს, დაისჯებიან** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის № 6 სავალდებულო დადგენილების §§ 4 და 5-ის თანახმად, და სახელდობრ: გამასწორებელ სახლში 2 თვის დაპატიმრებით ან 20,000,000 მანეთით დაჯარიმებით.

იმ სახლის პატრონების წინააღმდეგ, რომელთაც არ წარადგინეს სახლის მცხოვრებთა სია შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის შესატანად, იქნება ხმარებული დაჯარიმებ თვითეულ ასეთ გადამხდელზე 3 მილიონი მანეთით.

3) სახლის პატრონნებს და ცალკე გადამხდელებს არ შეუძლიათ დაემყარონ უკანასკნელ ვადას (15 სექტემბრამდე), როდესაც კონტროლიორი ნიშნავს გადასახადის შეტანის სავალდებულო ვადებს 1—15 სექტემბრამდე.

4) ფულით შეცვლის გადასახადის შეტანის გასაადვილებლად, ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის ა. წ. 31 აგვისტოს დადგენილების თანახმად, თვითეულ პირს ენიჭება უფლება შეიტანოს გადასახადი სახლის პატრონის გარეშე პირადობის მოწმობის წარდგენით, რომელზედაც დააწებებენ მარკას, ხოლო სახლის პატრონები მაინც ვალდებულნი არიან წარადგინონ ასეთი პირები გადამხდელის დოკუმენტებითურთ შესამოწმებლად სახლის წიგნის თანახმად.

შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი და წევრი **ა. რუხაძე.**

№ 29 3—1

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება უკანასკნელად აცნობებს

ყველა სახლის პატრონებს, რომ სახლების რეგისტრაციაში გასატარებლად საანკეტო ფურცლების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია **20 სექტემბრამდე,** ხოლო სარეგისტრაციო ბარათების გაცემის ვადა

ოქტომბრამდე

სახლის მფლობელობა, რომელიც არ გატარდება რეგისტრაციაში გამოცხადებული იქნება უპატრონოთ და გამოცხადდება ქალაქის საკუთრებათ.

№ 28 3—1

სამეურნეო ბანკის საბჭო

ამით აცხადებს, რომ 11 სექტემბრიდან 25-მდე შეგროვებული უნდა იქმნეს ძირითადი თანხა ამ ბანკის მოქმედების განახლებისათვის თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ამიტომ, ვისაც სურს წევრობა ამ დაწესებულების, უნდა მობრძანდეს საწევრო ფულის შემოსატანად მის ძველ ბინაზე, სასახლის ქუჩაზე № 6, 10 საათიდან 3 საათამდე.

საზოგადო კრება მოწვეული იქნება არჩევნების მოსახდენად მოგროვების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში.

27